ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) გიორგი მოსეშვილი

თანამდებობის დასახელება: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

კომისიის დასახელება: **ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია;**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

არჩევის წესი : პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2021 წლის 4 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (**<u>რიგითი,</u>** რიგგარეშე)

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 11-------

საკრებულოს სხდომებზე დასწრება _7__; გაცდენა - 2, საპატიო 2 (კოვიდი)_____

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-/სხდომების რაოდენობა -5, დასწრება-5/

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია /სხდომების რაოდენობა: 10, დასწრება-5; არდასწრება 3-საპატიო 2(კოვიდი)

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 13

ფრაქციის სხდომებზე დასწრება __10__

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

1) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ.ჩადუნიანში ბოხოლის ბოლოზე გადასასვლელი ხიდის შეკეთების შესახებ; 2) სოფ. ცოდნისკარში ნაგავსაყრელის მდგომარეობის შესახებ; 3) ქ.ლაგოდეხში, ე.წ. სიყვარულის ხიდის მდგომარეობის შესახებ; 4) სოფ. ჩადუნიანში, საბავშვო ბაღის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის მდგომარეობის შესახებ; 5) სოფ. ცოდნისკარში, სავარგულებამდე მისასვლელი გზების მდგომარეობის შესახებ; 6) სოფ. ბაისუბნის ცენტრიდან სოფ. პატარაგორის მიმართულებით არსებული სამელიორაციო არხის მდგომარეობის შესახებ; 7) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შემოდგომაზე მოსავლის აღების პერიოდში არსებული პრობლემის შესახებ; 8) სოფ. ცოდნისკარში არსებული სანიაღვრე არხების მდგომარეობის შესახებ; 9) სოფ. ცოდნისკარში, თავშეყრის ადგილებში ნაგვის ურნის დადგმის შესახებ; 10) სოფ. კართუბანში, ყოფილი საკონსერვო ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზის მოწესრიგებისა და ეკალ-ბარდისაგან სავალი ნაწილის გაწმენდის შესახებ;

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა 0 დადგენილება, 0 განკარგულება

სამწუხაროდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არც საკრებულოს სხდომაზე და არც შესაბამის კომისიებზე არ განიხილავს აღნიშნული საკითხები, რადგანაც საკრებულოს არაფრად მიაჩნია საკრებულოს წევრთა მიერ დასმული საკითხები; მერიაში შეტანილი მიმართვებიდან არ მოგვსვლია უმეტეს ნაწილზე პასუხები.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები ---

ბარი დავუჭირე ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს და ასევე იმ სოციალურ პროექტებს, რომელიც ემსახურება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებას;

,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში განისაზღვროს კონკურსზე წარსადგენი პროექტი:

,, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სოფელ ცოდნისკარში დასასვენებელ-გასართობი სივრცის მოწყობა".

,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ;

,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში განისაზღვროს კონკურსზე წარსადგენი პროექტი:

,,ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხის და მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ქ.ლაგოდეხის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია".

,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებისა და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში განისაზღვროს კონკურსზე წარსადგენი პროექტი:

,, ადგილობრივი ბიზნესის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის სოფელ ხიზაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება"

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2022 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები, დანართის შესაბამისად

/განკარგულება №გ.93.93221268 თან ერთვის/

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლაგოდეხში, ჯანელიძის ქუჩაზე მდებარე შენობის /ს.კ. 54.01.51.044/ პირველი სართულის-159.5კვ.მ უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობებისა და მზრუნველობა მოკლებულთა ორგანიზაცია მადლისთვის“ / საინ.ნომერი: 233146388/.

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2022 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და დამტკიცების შესახებ;
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფინანსურ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

ცვლილება ,,საპრივატიზებოობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14-ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ"ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის №14 -ი განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“ გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება RENAULT DUSTER - მაღალი გამავლობის ნომერი CC 929 DD.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფინანსურ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის № გ-93.93221267 განკარგულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა ----100----- --- და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა --1400--------
8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირების საკითხი, საბავშვო ბაღის მშენებლობის საკითხი, სასმელი წყლის პრობლემა. სოციალური დახმარებების შეწყვეტის საკითხი, უსახლკარო ადამიანების პრობლემა, ელექტროსადენების პრობლემა, უმუშევრობა, მაწიმის სკოლის თუ სხვა;

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

სამწუხაროდ, ხელისუფლება არ თანამშრომლობს ჩვენს მიერ დასმული საკითხების ირგვლივ, რადგანაც წარმოვადგენთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. შესაბამისად, არ ხდება ამ პრობლემების კვლევა, ანალიზი, გადაწყვეტა;

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

ვღებულობ აქტიურად მონაწილეობს ფრაქციის წევრებთან ერთად **სოციალური ქსელებითგაკეთებული მიმართ**ვებით სოფლებისა თუ მუნიციპალიტეტის პრობლემატიკის ირგვლივ:
სოფლის მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით ფრაქციაში აქტიური მონაწილეობის მიღება და სხვადასხვა სამინისტროებში, ასევე სახალხო დამცველის აპარატში გადაგზავნილი წერილების მომზადებაში ინფორმაციული თუ სტატისტიკური მონაცემების მოძიებაში მონაწილეობის მიღება;
მივიღე მონაწილეობა ყველა იმ საპროტესტო აქციაში, რომელიც გამოხატავდა ლაგოდეხელი მოქალაქეების პრობლემების ირგვლივ შეკრებას;
მივიღე მონაწილეობა უკრაინის მხარდასაჭერ ღონისძიებებში ლაგოდეხსა თუ თბილისში, ასევე რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის საწინააღმდეგო აქციებში;
აქტიურად ვმონაწილეობდი ფრაქციის საქმიანობაში და ვიყავი ჩართული მისი გადაწყვეტილებების მომზადებაში: ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მიუსაფარი ცხოველების მდგომარეობის შესახებ,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ონანაურისათვის ანანაურის სახელის აღდგენის თაობაზე; ქ. ლაგოდეხში ერთერთი ქუჩისათვის უკრაინის დედაქალაქის კიევის დარქმევის თაობაზე,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20022 წლის სამუშაო გეგმის მიმდინარეობის თაობაზე, იძულებით გადაადგილებული პირთა პრობლემების შესახებ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მორიგი ვანდალური ფაქტის განხორციელების თაობაზე; რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად უკრაინიდან წამოსულ პირთა ლტოლვილების მიღებისა და დახმარების თაობაზე, უკრაინაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის გაცნობის თაობაზე; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ,,ეფექტიანობის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მართვის თაობაზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ დევიძის წინადადების ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი რესურსების(ხე-ტყე, მისი დაცვისა და ჭრის საკითხების)მდგომარეობის შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
მქონდა მთავარ არხზე ჩართვა სოფელ ბოლქვში დაწყებული სასმელი წყლის პროექტთან დაკავშირებით;
ასევე მქონდა ჩართვები ფორმულაში, რადიოჰერეთს თუ სხვა;
სოციალური ქსელებით გავაშუქე ლაგოდეხის ხევზე მიმდინარე პროექტების თაობაზე და სხვა.

ვღებულობდი მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებში საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით.

შევსების თარიღი: 26 ოქტომბერი

წარდგენის თარიღი: 26 ოქტომბერი

ხელისმოწერა ----------